

EthicCapital-ის ცნობის ფურცელი

საკრედიტო კავშირი

EthicCapital ცნობის ფურცელი

N1

გაზაფხული 2014

სიახლეები

პარტნიორები

EthicCapital-ს ახალი პარტნიორი ჰყავს - სოციალური ბიზნესის ფონდი, რომელიც გერმანიაში დაარსდა და ინტერნაციონალურ პროექტებს ახორციელებს. ფონდი ფინანსური და ინტელექტუალური დახმარებით ხელს უწყობს ადამიანებს, გახდნენ აქტიურები, გამოიყენონ ძალისხმევა საკუთარი მიზნების მისაღწევად, თავი იგრძნონ სრულფასოვან პარტნიორებად და შემდგომში თავადაც შეიტანონ წვლილი სხვა ადამიანების, მომავალი თაობების ფეხზე დაყენებაში.

სოციალური ბიზნესის ფონდმა ჩვენს საკრედიტო კავშირს დაბალპროცენტიანი სესხის სახით 5 000 ევრო გამოუყო.



წევრები

საკრედიტო კავშირის წევრთა რაოდენობა 119-მდე გაიზარდა. ახალი წლის შემდეგ კოოპერატივს კიდევ 4 ახალი წევრი შეემატა.



კონსტანტინე ზარუქუა, საკრედიტო კავშირის ერთ-ერთი წევრი. ჩვენს შესახებ ინტერნეტის, ჩვენი ვებ.

გვერდის საშუალებით შეიტყო, ოფისში გვესტუმრა და კოოპერატივის წევრი გახდა. როცა მისი წევრობის მოტივაციის შესახებ ვკითხეთ, გვიპასუხა:

“ვფიქრობ, **Ethiccapital** -ი ქართულ საკრედიტო-საფინანსო სივრცეში არის ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია მდგრადი განვითარების ხელშეწყობაზე, ეხმარება მსესხებელს ეთიკურად, ეკოლოგიურ - ად გამართული იდეების ხორცშესხმაში და არ არის ორიენტირებული ფინანსურ მოგებაზე.

საკრედიტო კავშირისთვის წევრთა სიმრავლეს, მეტ ცნობადობას ვისურვებდი.”

საკრედიტო კავშირის მუშაობისთვის მისი წევრების აქტივობა, ფინანსური და ინტელექტუალური მხარდაჭერა განსკუთრებით მნიშვნელოვანია. ამიტომაც, მსგავსი გამოვლინებები ყოველთვის გვახარებს და სტიმულს გვაძლევს.

წლის დასაწყისში საკრედიტო კავშირის წევრმა, 500 დოლარის ოდენობის შემოწირულობით, **EthicCapital**-ის საკუთარი კაპიტალი გაზარდა.

გვიხარია და მადლიერნი ვართ, როცა ჩვენთან ერთად ფიქრობენ და ცდილობენ ჩვენს წინაშე მდგომი გამოწვევების დაძლევის გზების პოვნას.

ანაბრები

საკრედიტო კავშირის ანაბრების პორთფელი, მისი საკრედიტო პორთფელის ფონზე, საკმაოდ არაშთამბეჭდავად გამოიყურება. წლის დასაწყისამდე **EthicCapital**-ს მხოლოდ ორი მეანაბრე ჰყავდა. საკრედიტო კავშირის წევრმა საანაბრე ანგარიშზე 2 500 დოლარის განთავსებით ანაბრების პორთფელი გაასამშაგა, რაც ბუნებრივია სასურველი და სასიხარულო განვითარებაა.

საკრედიტო საქმიანობა

წლის დასაწყისიდან საკრედიტო კავშირმა 6 სესხი, საერთო მოცულობით - 35.318 ლარი გასცა:

- ეკოლოგიურად სუფთა მეურნეობა — 1 სესხი
- განათლება — 2 სესხი
- რეგიონალური განვითარება — 2 სესხი
- სოციალური სფერო — 1 სესხი



საკრედიტო კავშირის მიერ მხარდაჭერილი წევრის ვენახი

წლიური ანგარიში

EthicCapital-მა ისევე, როგორ გასულ წელს აუდიტორული მომსახურებით ისარგებლა. შ.პ.ს “რეალ-აუდიტ”-მა ფინანსური შემოწმება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აწარმოა.

აუდიტორული დასკვნის საფუძველზე ჩვენს მიერ შედგა „წლიური ანგარიში“, რომელიც მალე გამოქვეყნდება. მასში თავმოყრილია **EthicCapital**-ისთვის მნიშვნელოვანი ციფრები და ფაქტები, რომლებიც ფართო საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, წარმოდგენა შეიქმნას ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

კონტაქტი:

დიმიტრი ბაქრაძის 19,
II სადარბაზო, II სართული,
0179 თბილისი,
საქართველო.

ტელ: (+995) 32 2 30 43 69
info@ethiccapital.eu
www.ethiccapital.eu